SCIENTIA • LABOR • LIBERTAS

თავისუფალი
უნივერსიტეტი

ბიზნესის სკოლა (ESM)

პროგრამის სახელწოდება

ოპერაციების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ოპერაციების მენეჯმენტში

სწავლების მოცულობა კრედიტებით

120 ECTS

სწავლების ენა

ქართული

სამაგისტრო პროგრამის მიზანი

ოპერაციების მენეჯერი არის პოზიცია, რომელიც პასუხისმგებელია პროდუქტის თუ მომსახურების წარმოების სრულ ციკლსა და პროდუქციის მომხმარებლამდე ეფექტიანად მიწოდებაზე. მისი ამოცანაა ეძებოს წარმოებისა და მიწოდების საუკეთესო გზები და იზრუნოს ბიზნესის პროცესების გაუმჯობესებაზე.

ამისათვის, ოპერაციების მენეჯერი მონიტორინგს უწევს და აანალიზებს ბიზნესის ყოველდღიურ პროცესებს, აწესებს ხარისხის მართვის სტანდარტებს და კონტროლის მექანიზმებს, მუდმივ ძიებაშია ახალი ტექნოლოგიების და ზრუნავს ეფექტიანობის გაუმჯობესების სხვადასხვა გზაზე.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ოპერაციების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზნებია:

- სტუდენტებს შესძინოს იმ პროცესების დიზაინის შემუშავებისათვის, დაგეგმვისათვის, შესრულებისა და კონტროლისათვის საჭირო უნარები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებლისთვის სასურველი პროდუქტის ან მომსახურების მიწოდებას.
- შეასწავლოს სტუდენტებს კომპანიის ამოცანებისა და მომხმარებელთა მოთხოვნებიდან გამომდინარე, როგორ უნდა შექმნან, გამართონ, მართონ და აკონტროლონ პროდუქციის და სერვისების მიწოდების ბიზნესპროცესები და ოპერაციები ეფექტიანად.
- მოამზადოს პროფესიონალები, რომლებიც სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებენ რთულ და სწრაფად ცვალებად ბიზნესის გარემოში.
- შესძინოს სტუდენტებს ოპერაციების მართვასთან დაკავშირებული ანალიტიკური და ლიდერული უნარები, პრაქტიკაში დასმული ამოცანების გადასაწყვეტად და გამოწვევების საპასუხოდ.
- შესძინოს ცოდნა, რომელიც აუცილებელია ბიზნესის ოპერაციების ანალიზისა და განვითარებისათვის და უნარები ამ ოპერაციების ხარისხის, პროდუქტიულობის და ეფექტიანობის გაუმჯობესებისათვის.

პროგრამა ორიენტირებულია საშუალო და მაღალი რგოლის პრაქტიკოს მენეჯერებსა და ბიზნეს-ანალიტიკოსებზე/კონსულტანტებზე.

სამაგისტრო პროგრამის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული 4 მოდული. ეს მოდულები მოიცავს ოპერაციების მენეჯმენტში თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისათვის საჭირო საგნებს, ასევე კვლევის უნარების გამომუშავების კომპონენტებს. კვლევა ამ პრაქტიკა-ტევადი პროგრამის ფარგლებში გაგებული უნდა იყოს როგორც ანალიტიკა და არა, როგორც კლასიკური სამეცნიერო კვლევა.

შესაძლო დასაქმების სფეროები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები გააგრძელებენ მუშაობას ოპერაციების მენეჯერის პოზიციაზე უფრო მაღალი რანგის მენეჯერებად ან ბიზნეს-ანალიტიკოსებად/კონსულტანტებად უკეთესი კარიერული წინსვლის პერსპექტივით. ისინი შეძლებენ მუშაობას სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაციაში ისეთი ბიზნეს-ოპერაციების პროდუქტიულად და ეფექტიანად განხორციელებისათვის, როგორიცაა, მაგალითად:

- წარმოების ჯაჭვის მართვა
- ხარისხის მართვა
- პროექტის მართვა
- ადამიანური რესურსების მართვა
- სერვისის მართვა
- ოპერაციათა კვლევა და მართვა
- და სხვა

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმდნენ პროექტების მენეჯერებად და მიიღონ საინვესტიციო გადაწყვეტილებები. გარდა ამისა, კურსდამთავრებულები შეძლებენ საკუთარი ბიზნესის წამოწყებას და მართვას, როგორც პარტნიორები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის კვალიფიკაცია. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამაზე სწავლა შეუძლია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საერთო სამაგისტრო გამოცდის დებულებისა და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად მოიპოვა უფლება ისწავლოს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში.

მაგისტრანტობის კანდიდატების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული

აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

ბ[1]) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც ამ მუხლის მე-9 პუნქტის „დ[1]“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების შემდეგი წინაპირობები:

- კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის (გასაუბრების ფორმით) წარმატებით გავლა

სასურველია ინგლისური ენის Intermediate დონეზე ფლობა.

გასაუბრებას აქვს ინტერვიუს ფორმა, სადაც მოწმდება:

- კანდიდატის კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარი რაოდენობრივი და ხარისხობრივი სიტუაციების ანალიზის საფუძველზე
- მისი პიროვნული უნარ–ჩვევები, რაც განსაზღვრავს კანდიდატის მოტივაციას, ლიდერობას და ეფექტური კომუნიკაციის უნარს. ეს მნიშვნელოვანი წინაპირობაა მისი, როგორც ბიზნესის ადმინისტრატორის ჩამოყალიბებისთვის.

გასაუბრების კომისიის შემადგენლობაში არიან უნივერსიტეტის პრორექტორები, ბიზნესის სკოლის დეკანი, ბიზნესის სკოლის კოორდინატორი, პროგრამის აკადემიური პერსონალი.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ:

1. კურსდამთავრებულმა იცის თუ როგორ იქმნება არსებული შეზღუდული რესურსების პირობებში კომპანიის ძირითადი პროდუქტ(ებ)ი, რაც წარმოადგენს ოპერაციების მენეჯმენტის არსს.
2. კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს ოპერაციების ეფექტიანად მართვის მნიშვნელობა კომპანიის სტრატეგიული კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის.
3. კურსდამთავრებულმა სიღრმისეულად იცის ბიზნესის პროცესების დიზაინის, დაგეგმვის, კონტროლის და გაუმჯობესების კონცეფციები და ტექნიკები, როგორც წარმოების, ისე მომსახურების ოპერაციებში.
4. კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესის ჯვარედინი ფუნქციონალური პროცესების შეფასება, შესაბამისი მეტრიკის და მონაცემების ანალიზის საფუძველზე.
5. კურსდამთავრებულს შეუძლია წარმატებული ბიზნესსტრატეგიების შემუშავება, ერთი მხრივ ბიზნესის თითოეულ დისციპლინის ცოდნის და, მეორე მხრივ, ბიზნესის მართვის მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენებით.
6. კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესის ოპერაციების ხარისხის, პროდუქტიულობის და ეფექტიანობის გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირება და განხორციელება.
7. კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესის გარემოში მოსალოდნელი ტენდენციების და შესაძლებლობების შეფასება და მათზე რეაგირება.
8. კურსდამთავრებულს შეუძლია ფინანსური, ტექნიკური და ადამიანური რესურსების ეფექტური და ეფექტიანი მართვა.
9. კურსდამთავრებულს შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების ძიება, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება მოდელირების უახლესი კონცეფციების გამოყენებით.

10. კურსდამთავრებულს შეუძლია სხვადასხვა ტიპის კომპლექსური და მასშტაბური პროექტის მართვა.
11. კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესისთვის რელევანტური მონაცემთა ანალიზი, მასზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა და მათი წარდგენა უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით.
12. კურსდამთავრებულს შეუძლია გუნდის ლიდერობა, მართვა და წევრობა.
13. კურსდამთავრებულს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდი

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების მისაღწევად ძირითადად გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- დისკუსია/დებატები
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- ვერბალური მეთოდი
- წერითი მუშაობის მეთოდი
- თანამშრომლობითი სწავლება
- ჯგუფური მუშაობა
- გონებრივი იერიში
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება
- შემთხვევების შესწავლა (case study)
- როლური და სიტუაციური თამაშები
- დემონსტრირების მეთოდი
- ინდუქციური მეთოდი
- დედუქციური მეთოდი
- ანალიზის მეთოდი
- სინთეზის მეთოდი
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი

თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები გაწერილია სილაბუსში.

მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი, ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები. ესენია: საშინაო დავალებები, ტესტები, ზეპირი და

წერითი გამოცდა, პრეზენტაციები, ქეისის წერითი გარჩევა, ქეისებზე დისკუსია, ანგარიშები და სხვა.

აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ლექტორი უფლებამოსილია გამოიყენოს ისეთი სწავლების და სწავლის მეთოდი, რომელიც არ არის გათვალისწინებული პროგრამით. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია უნდა იყოს აღნიშნული სილაბუსში.

ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტიანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან გადალახა შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვრები და მიიღო ერთ-ერთი დადებითი შეფასება.

არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81%-90%;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71%-80%;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61%-70%;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51%-60%.

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:
(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41%-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით და მატებით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო გეგმა (კურიკულუმი)

კურიკულუმი შედგება შემდეგი კომპონენტისგან:

- სავალდებულო საგნები
- არჩევითი საგნები
- სადიპლომო პროექტი

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი.

ადამიანური და მატერიალური რესურსები

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.